პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 აპრილი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 75 (9486) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიხსნა საკავშირო კომკავშირის XX ყრილობა

მოსკოვი, 15 აპრილი (საქდესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში 10 საათზე გაიხსნა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XX ყრილობა.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ჰ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ა. ნ. იაკოვლევს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.

ყრილობა გახსნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. მირონენკომ.



## საუბარი დელეგატთან

მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე კომკავშირის XX ყრილობის დელეგატია. გთავაზობთ მის საუბარს საქდესის კორესპონდენტთან.

# კომკავშირული ასაკი სპორტული ასაკია

— კომკავშირული ასაკი ყველაზე უკეთესი ასაკია სპორტში მეცადინეობისთვის. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, კომკავშირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ფიზკულტურას, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა. — დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას ჯანმრთელი, ფიზიკურად ნაწრთობი ხალხი სჭირდება. ჭადრაკი სპორტის სპეციფიკურ სახეობებს განეკუთვნება, მაგრამ მე შემიძლია მაგალითად მოვიყვანო გარი კასპაროვი, რომელსაც კარგად ვიცნობ. იგი შესანიშნავი სპორტსმენია და, ჩემი აზრით, სპორტის რამდენიმე სახეობაში კარგ შედეგებსაც მიაღწევდა.

● **ბოლო ხანს გახშირდა ლაპარაკი ჩვენი სპორტული და ფიზკულტურული მოძრაობის ნეგატიურ მომენტებზე...**

— ჩვენს სპორტში დადებითი მაგალითი ბევრად მეტია. საბჭოთა სპორტსმენები ნამდვილი პატრიოტები, ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა დროშის ერთგული ადამიანები არიან. საუბრის ობივატელურ მითქმა-მოთქმაზე გადატანა არ იქნებოდა სწორი. თუმცა, რა თქმა უნდა, მე იმას როდი ვამბობ, რომ ნეგატიურ მოვლენებს თვალი უნდა ავარიდოთ. სირთულეები არის, მაგრამ მათი დაძლევის გზებიც ვიცით. საზოგადოებას სპორტი სჭირდება და მისი უდიდესი მნიშვნელობის უარყოფა უგუნურება იქნებოდა.

სსრ კავშირის სპორტსახკომში მოწყობილ შეხვედრაზე გულახდილი საუბარი გაიმართა. ბევრს აინტერესებდა საკითხები, რომლებიც ეხებოდა, პირველ ყოვლისა, ფიზიკური კულტურის დანერგვას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ მხოლოდ სპორტსახკომის მონდომებით ეს უზარმაზარი სამუშაო არ შესრულდება. აი, აქ არის საჭირო კომკავშირის რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა. შეუპოვარი შრომა მოგვიტანს წარმატებას.

● **მაგრამ განა სწორედ კომკავშირის ორგანიზებული არ არის კლუბები „თეთრი ეტლი“, „ტყავის ბურთი“ „ოქროს შაიბა“?..**

— ასეა. მაგრამ იგივე „ბურთი“ და „შაიბა“ ბიჭებისთვის არის. გოგოებმა რა ქნან? ჩემი აზრით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა საჭიროა. მეტიც, ეს მოთხოვნა დღეს მეტად აქტუალურია. ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ვფიქრობ, ყრილობაზე ბევრი კარგი იდეა წამოიჭრება და შემდეგ რეალობად იქცევა.

## ჭადრაკი

ბრიუსელის მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში IV ტურის პარტიები გათამაშდა. მიხეილ ტალმა მოუგო ბელგიელ რიშარ მეულდერს. მან პირველი გამარჯვება მოიპოვა ამ ტურნირში. ბენტ ლარსენმა (დანია) დაამარცხა იან ტიმანი (ჰოლანდია), ლიუბომირ ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) — ლუი ვინანტი (ბელგია). დაზავდნენ ეუგენიო ტორე (ფილიპინები) და ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია). გარი კასპაროვ — ნაიჯელ შორტისა (ინგლისი) და ანატოლი კარპოვ — ჯონ ვან დერ ვილის პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით დაწინაურდა კორჩნოი. კასპაროვს 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ლიუბოევიჩს და ლარსენს — 3-3 ქულა. ტალმა სამი შეხვედრიდან 2 ქულა მოაგროვა, კარპოვმა კი ჯერჯერობით მხოლოდ ქულანახევარი (ერთი პარტია მასაც გადადებული აქვს).

## ჩოგბურთი

ნიცა. საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქში დაიწყო ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. პირველ წრეში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ანდრეი ჩესნოკოვმა ორ პარტიაში გფრ-ის წარმომადგენელი ტორე მაინეკე დაამარცხა — 7:6, 6:3.

სასტარტო შეხვედრები რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. დავასახელებთ მხოლოდ ერთს: იუგოსლაველ სლობოდან ჟივოინოვიჩის მარცხს დიეგო პერესთან (ურუგვაი) — 2:6, 4:6.

## ელვა-ინფორმაცია

გფრ-ში დამთავრდა მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. 48 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა თბილისელმა რუდიკ კაზანჯიანმა.




# საერთო ბილიკით

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ალბათ ახსოვთ „ლექსოს კროსი“ (მის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთ, შარშანდელ ნომერში გვქონდა საუბარი). ეს შეჯიბრება, რომელსაც მძლეოსნობის ენთუზიასტმა, მწვრთნელმა ალექსანდრე ბურნაძემ ჩაუყარა საფუძველი, უკვე ტრადიციულად იქცა. ასპარეზობაში ყველა ასაკის მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება; მაღალ შედეგებსაც არავის სთხოვენ, თუმცა კროსში გამარჯვებას მძლეოსნები საპატიოდ თვლიან და პირველი ადგილისათვის ყოველთვის ცხარე ბრძოლა იმართება. საერთოდ, ეს შეჯიბრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი დემოკრატიულობით იზიდავს რბენის მოყვარულებს და შეჯიბრებაში ყველა ხალისით მონაწილეობს.

„ერთგულების თასის“ წლევანდელი ასპარეზობა ტრადიციულად გამარჯვების პარკში გაიმართა. საასპარეზოდ 130 სპორტის მოყვარული შეიკრიბა, მოვიდნენ ბავშვები, მოზრდილები, ჭარმაგი ადამიანები, კროსში ჩაება თბილისის საარტილერიო სასწავლებლის 30 კურსანტიც. ყველას ერთი მანძილი, 5240 მეტრი უნდა დაეფარა. აღსანიშნავია, რომ მძლეოსნობის მოყვარულთა ეს შეჯიბრება, რომელიც თანდათან ოფიციალურ სტატუსს იღებს, წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა. გუშინ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელები ვრტა-

იხ. მე-2 გვ.

## SOS

საქართველოს პირველობაზე თელავში გამართულ მატჩში თავხედურად იქცეოდნენ ფეხბურთელები და მაყურებლები. ისინი კი, ვისაც ეს აღვირახსნილი გამოხდომები უნდა აღეკვეთა, სეირის მაყურებლის როლში მოგვევლინენ. მაყურებელთა მიმართ უპატივცემლობა გამოიჩინეს აგრეთვე ვანის „სულორისა“ და ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. (იხ. მე-3 გვ.).

# ოლიმპიური მატჩი

მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში ამჟამად მიმდინარეობს შესარჩევი მატჩები. ევროპაში შექმნილია 5 საკვალიფიკაციო ჯგუფი, სსრ კავშირის ფეხბურთელები IV ჯგუფში იმყოფებიან ნორვეგიის, ბულგარეთის, თურქეთისა და შვეიცარიის გუნდებთან ერთად. ჯგუფში გუშინდლამდე ჩატარებული იყო სულ 3 მატჩი: ნორვეგია — სსრ კავშირი 0:0, შვეიცარია — ნორვეგია 1:0, თურქეთი — შვეიცარია 3:2.

გუშინ თურქეთის ქალაქ იზმირში შედგა წლევანდელი პირველი შესარჩევი მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთისა და სსრ კავშირის ოლიმპიელი ფეხბურთელები.

თამაში დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით —2:0.

## II ლიგა

გუშინ შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეორე ტურის მატჩები. თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შევარდენი“-სპი და სოხუმის „დინამო“. მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 3:1.



# „რობოტრონი“ — მოცურავეთა სამსახურში

დღეს სპორტსმენებს შედეგის გაზრდაში კომპიუტერებიც ეხმარებიან.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტები ამ და სხვა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს არ იყენებენ, ან იშვიათად იყენებენ. და აი, პირველი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს მოცურავეებმა გადაწყვიტეს. ინიციატივა რესპუბლიკის სპორტსახკომის ცურვის განყოფილებამ გამოიჩინა და ხელმძღვანელობის მხარდაჭერით საინფორმაციო-გამომთვლელი მანქანა „რობოტრონ 1715“ შეიძინეს.

— „რობოტრონის“ მეხსიერებაში დაფიქსირდება ჩვენი მოცურავეების მონაცემები, მათი ოსტატობის ზრდის მაჩვენებლები. მანქანაში შესაბამისი პროგრამის შეტანის შემდეგ შესაძლებელი გახდება სპორტსმენთა პერსპექტიული გეგმის შემუშავება, მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოანგარიშება. უკვე ვაგროვებთ დასამუშავებელ ინფორმაციას. იმედი გვაქვს, „რობოტრონი“ დიდ დახმარებას გაგვიწევს, — გვითხრა ცურვაში საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა იგორ ბარსკიმ.

## ფიზკულტურა და სპორტი: სამეურნეო ანგარიში. გამოცდილება.

# ჯანმრთელობის სკოლა

თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს მძლეოსნობის სასახლეში, 1987 წლის დასაწყისიდან ჩვენს რესპუბლიკაში პირველი ჯანმრთელობის სკოლა გაიხსნა. „ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრება ამ სკოლისა და მძლეოსნობის სასახლის დირექტორი ნუგზარ გიგენავა.

● **ასეთი სკოლები ქვეყნის სხვა ქალაქებში ალბათ გაცილებით ადრე გაიხსნა, მაგრამ რესპუბლიკაში თქვენ პირველებმა ითავეთ ეს საქმე. საინტერესოა თქვენი გამოცდილება.**

— ჯანმრთელობის სკოლების გახსნის უფლებას იძლევიან საკავშირო პროფსაბჭო და სსრ კავშირის სპორტსახკომი. მიღებულია მათი ერთობლივი დადგენილება და დამტკიცებულია დებულება. ჯანმრთელობის სკოლის გახსნისთვის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა შესაფე-

იხ. მე-2 გვ.



# ჯანმრთელობის სკოლა

დასასრული

რისი სამეცადინო პირობები (ბაზა, ინვენტარი, მომსახურე პერსონალი და ა. შ.).

● **როგორ განისაზღვრება მომეცადინეთა რაოდენობა და კონტინგენტი?**

— სკოლა გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ მომეცადინეთა რაოდენობა 300-ზე ნაკლები არ იქნება. ჯგუფები კომპლექტდება ასაკისა და სქესის მიხედვით, ამავე დროს, ცხადია, ვითვალისწინებთ თითოეულის ფიზიკურ მომზადებას.

● **ალბათ ყველა მსურველს ვერ მიიღებთ, მხედველობაში გვაქვს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა.**

— ვინც ჩვენთან მოდის და გვთხოვს ჩავრიცხოთ სკოლაში, ვაძლევთ სპეციალურ მიმართვას იმ პოლიკლინიკაში, სადაც ის აღრიცხვაზეა. მხოლოდ გულმოდგინე სამედიცინო შემოწმების შემდეგ ხდება ჯგუფში მომეცადინეთა მიღება.

● **რას სთავაზობთ ჯანმრთელობის სკოლის „მოსწავლეებს", რა „დისციპლინები ისწავლება?"**

— ჩვენთან არის მხატვრული ტანვარჯიშის, აერობიკის, საერთო ფიზიკური მომზადების, მაგიდის ჩოგბურთის, სამკურნალო ფიზკულტურის, ბადმინტონის, რბენის მოყვარულთა, ათლეტიზმის და ბრეიკდანსის ჯგუფები. ცხადია, ყველა ეს ჯგუფი გამაჯანსაღებელია. მაგრამ, თუ კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდა გამოჩნდა, სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში გავუწევთ რეკომენდაციას. რბენის მოყვარულთა ჯგუფიდან, მაგალითად, ოთხი მოზარდი უკვე სპეციალისტებმა წაიყვანეს ოსტატობის ასამაღლებლად. ვფიქრობთ, მალე მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფებშიც გამოვლინდებიან ნიჭიერი გოგონები.

● **ჯანმრთელობის სკოლები, როგორც წესი, სამეურნეო ანგარიშზე მუშაობენ. რამდენს იხდის თითოეული მომეცადინე?**

— ნიხრი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროსა და ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ. ღირებულება მინიმალურია — 3-5 მანეთი თვეში. მეცადინეობა კვირაში სამჯერ ტარდება.

● **სკოლას ცალკე მომსახურე პერსონალი ჰყავს თუ...**

— არა, სკოლასაც მძლეოსნობის სასახლის კოლექტივი ემსახურება, მაგრამ მათ ანაზღაურების სახით ეძლევათ დანამატი — ხელფასის 30 პროცენტი. ბაზა დღეში 12 საათს მუშაობს.

● **მწვრთნელები?**

— ისინი საათობრივ ანაზღაურებაზე გვყავს მოწვეული.

● **რამდენი საათია მწვრთნელთა დატვირთვა?**

— ჩვენ მათ მხოლოდ 50 საათს ანუ ნახევარ განაკვეთს ვაძლევთ, მაგრამ, თუ არსად მუშაობენ, უფლება გვაქვს განაკვეთ-ნახევარიც მივცეთ.

● **ძირითადად რომელ საათებში ტარდება მეცადინეობები?**

— საღამოს 6 საათიდან. მაგრამ მალე მძლეოსნები ღია არენებზე გავლენ და დღის პირველ ნახევარშიც გავხსნით ჯგუფებს.

● **კიდევ ხომ არაფერს გვეტყოდით?**

— მინდა დავამატო, რომ ვარჯიშების გარდა მომეცადინეებისთვის დაგეგმილი გვაქვს ლექცია-საუბრები, კულტურული ღონისძიებები (ექსკურსიები, სასახლეში მხატვრული და სპორტული ფილმების ჩვენება და ა. შ.) და კიდევ: თვეში ერთხელ სკოლის თითოეულ მომეცადინეს უფლება აქვს უფასოდ შევიდეს საუნაში. მაგრამ ვისაც სურს საუნით სისტემატურად ისარგებლოს, ის ნაცვლად მანეთ-ნახევრისა, იხდის ერთ მანეთს.

წელს პირველ კვარტალში გვყავდა 1500 მომეცადინე, შემოსავალმა კი სულ 6804 მანეთი შეადგინა.

**საუბარი ჩაიწერა ვახტანგ ბაქრაძემ.**

# საერთო ბილიკით

დასასრული

ლი ქადეიშვილი და ავთანდილ ბერიძე სხვა მსაჯებთან ერთად აქტიურად ეხმარებოდნენ ალექსანდრე ბურნაძეს შეჯიბრების ჩატარებაში.

ვიდრე მონაწილეები დისტანციაზე იყვნენ, მეტად საინტერესო თანამოსაუბრე ვიპოვეთ: საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი 5 კილომეტრზე რბენაში ვალერი აბრამოვი, რომელიც თბილისში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. სხვათა შორის, მისი შედეგი — 13.11,99 — ერთ-ერთი საუკეთესოა მძლეოსნობის ისტორიაში. იმ სარეკორდო გარბენში აბრამოვმა გაუსწრო თვით სახელგანთქმულ კენიელ სტაიერს ჰენრი რონოს, რომელიც იმ პერიოდში დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა.



ვალერი აბრამოვი

— ის დღე კარგად მახსოვს, — გაიღიმა მოსკოველმა სტუმარმა.— რონომ სტარტის წინ ჟურნალისტებს განუცხადა, ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას ვაპირებო. ყველანი მორიგი სენსაციის მოლოდინში იყვნენ, ჩვენ ყურადღებას არავინ გვაქცევდა. რონო, გერმანელ ვესინგჰაგესთან ერთად მონაცვლეობით ლიდერობდა. მას ბოლო 100 მეტრზე ჯერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენელმა კუნცემ გაუსწრო, მერე—მე. კუნცემ თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა, მე — ჩემი, რონო კი მესამე ადგილზე გავიდა.

● **მაგრამ უნდა ვაღიაროთ, ის დღე ტკბილ მოგონებად დაგრჩათ ჩვენი ქვეყნის სტაიერებს. ყველა უკან დახევის და შედეგების მკვეთრად გაუარესებისათვის გსაყვედურობთ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, ვარჯიშის მეთოდიკაში დაშვებული შეცდომებია. თუმცა, ხელს ადმინისტრაციული შეცდომებიც გვიშლის. გვეუბნებიან, თუ აქ აჩვენებთ მაღალ შედეგებს, დიდ საერთაშორისო ტურნირზე მაშინ წაგიყვანთო. ასე დაკვეთით მაღალი შედეგების მიღწევა ძალიან ძნელია. მე სულ ორჯერ მივიღე მონაწილეობა უცხოელ ძლიერ მძლეოსანთა მონაწილეობით გამართულ შეჯიბრებაში და ორივეჯერ საგრძნობლად გავაუმჯობესე პირადი მიღწევა. როცა დიდი ხნის განმავლობაში არ ხვდები მსოფლიოს წამყვან მძლეოსნებს და მხოლოდ მათი მიღწევების ამბავი გესმის, ცხადია, პირისპირ შეხვედრისას შიშიც გიჩნდება მათ მიმართ.

ჩვენთან სტაიერები გამოჰყავთ მხოლოდ საერთაშორისო მატჩში, რომლის დროს დისტანციაზე მუდამ ტაქტიკური ბრძოლა იმართება და კარგი შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

● **ამის მაგალითად ეხენტუკში გამართული ქვეყნის ჩემპიონატიც გამოდგება. სტაიერებს, ვაჟები მაქვს მხედველობაში, პირობა მისცეს, თუ კარგ დროს აჩვენებთ, კროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებთო. პრიზიორთა სამეულმა მართლაც საგრძნობლად გააუმჯობესა შარშანდელი შედეგები, თუმცა მათგან პოლონეთში არავინ წასულა...**

— ჩემის აზრით, ესეც შეცდომა იყო. სამიდან ორი — ლენინგრადელი დასკო და თბილისელი სტრიჟაკოვი მაინც უნდა გაეგზავნათ მსოფლიო ჩემპიონატზე. ორივე ძალიან ახალგაზრდაა. იმისათვის, რომ მომავალი შეჯიბრებებისათვის მოემზადონ, მათ უნდა იცოდნენ რა ადგილი უკავიათ მსოფლიო უძლიერეს მორბენალთა შორის.

● **რაკი ახალგაზრდებზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა გკითხოთ, რამდენად მიზანშეწონილია სტაიერთა „გაახალგაზრდავება". მხედველობაში ასაკობრივი ცენზის დაწესება მაქვს.**

— ამ გადაწყვეტილებამ, კარგი შედეგების მიღებას ვინ ჩივის, უფრო გააუარესა მდგომარეობა. ამიტომ მას, ალბათ, შეცვლიან. ჩვენ მუდამ უფროსი ასაკის სპორტსმენებისგან ვსწავლობდით ყველაფერს, მათ ვბაძავდით. ვისგან რა უნდა ისწავლოს 22-23 წლის მორბენალმა, რომელიც სარბენ ბილიკზე მხოლოდ თანატოლებს ხედავს? ასეთი ახალგაზრდები ორსამ წელიწადს თუ ძლებენ დიდ სპორტში, მერე უკვალოდ „ქრებიან" — დაძაბულობას ვერ უძლებენ.

● **უკვე ორი წელიწადია, რაც შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობთ. 31 წლის კაცმა კვლავ დაიწყეთ ვარჯიში ქვეყნის ნაკრებში მოსახვედრად. ოპტიმისტი ყოფილხართ. ასაკობრივი ცენზის არ გეშინიათ?**

— მინდა ყველას დავუმტკიცო, რომ 31 წლის სტაიერის „ჩამოწერაც" ნაადრევია. თუ ყველას ვაჯობე და მაღალი შედეგიც ვაჩვენე, იქნებ რომში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად წამიყვანონ, აუცილებლად უნდა წამიყვანონ...

ცნობილ მორბენალს „ერთგულების თასისთვისაც" სურდა ებრძოლა, მაგრამ წინადღით მსუბუქად დაშავდა და რისკს მოერიდა. მისი მოსკოველი თანაგუნდელი, სპორტის ოსტატი სერგეი ლიტვინენკო კი შალვა ნადირაძესა და გოჩა ბენიძეს შეებრძოლა. ერთის შეხედვით, ძალები არათანაბარი ჩანდა: ლიტვინენკოს პირადი შედეგი კლასიკურ, 5-კილომეტრიან დისტანციაზე წუთით სჯობს ჩვენს მორბენალთა საუკეთესო მიღწევებს, მაგრამ მოსკოველმა მხოლოდ ფინიშზე შეძლო მათი ჩამოტოვება და გამარჯვება — 15.42,0; ნადირაძემ მეორე ადგილი დაიკავა — 15.51,0, ბენიძემ — მესამე (15.53,0).

ქალთა შორის ქვეყნის ნაკრების წევრმა ირინა მოქაროვამ გაიმარჯვა (17.41,0), რომელმაც თითქმის სამი წუთით აჯობა მე-2 და მესამე ადგილებზე გასულ რუსთაველ სურაია მირზოევას და თბილისელ ლამზირა ზედგენიძეს.

ვეტერანთა შორის პირველობდნენ გ. გიორგობიანი და ნ. დუდნიკი, უმცროსი ასაკის მონაწილეთა შორის კი ლ. ბურნაძემ და დ. ტომარკოვსკიმ ისახელეს თავი.

კროსის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „საქდიზაინმონტაჟისა" და „ლოკომოტივის" სტადიონის მუშაკებმა. გამარჯვებულს თავისი ნამუშევარი გადასცა პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის დელეგატმა, თვითნასწავლმა მხატვარმა ჯემალ ალანიამ. დაჯილდოვდნენ დანარჩენი პრიზიორებიც.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**



# ფალავანთა ახალი სამჭედლო

**ახმეტა.** ახმეტელებს დიდი ხნის ნატვრა: 25 მარტს აქ გაიხსნა ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. საზეიმო განწყობილებას ამინდმაც შეუწყო ხელი. სკოლის ეზოში შეკრებილ მშრომელებს, გამოჩენილ სპორტსმენებს და მომავალ ჩემპიონებს სიტყვებით მიმართეს რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, სკოლის მშენებლებმა, ვეტერანმა სპორტსმენებმა. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პრიზის გათამაშების პირველ ტურნირში გამარჯვებულმა მერვე კლასის მოსწავლემ რომან უძილაურმა ჭაბუკ სპორტსმენთა სახელით შესანიშნავი საჩუქრისათვის მადლობა გადაუხადა „კოლმეურნის" რესპუბლიკურ საბჭოს, რაიონის თავკაცებს და სპორტსკოლის მშენებლებს. ახლადდაარსებული სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გუგული აბრამიშვილმა სკოლის სიმბოლური გასაღები ჩაიბარა. საზეიმო კონცერტის შემდეგ გაიმართა ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პრიზზე. შეჯიბრებაში 1975-1976 წლებში დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ. ახმეტაში 15 გუნდს ელოდნენ, მაგრამ მოჭიდავეები არ გამოგზავნეს მარნეულის, წალკის, გარდაბნის, ბოლნისის, წითელწყაროს და დმანისის რაიონებმა.

პირველ დღეს გაიმართა წინასწარი შეხვედრები, მეორე დღეს — ფინალური ორთაბრძოლები. 350-ადგილიანმა ტრიბუნებმა ვერ დაიტია მაყურებელი და ბევრი ფეხზე მდგარი ადევნებდა თვალს ნორჩთა ასპარეზობას. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო მასპინძელთა ძლიერმა გუნდმა, რომლის წევრებმა 5 პირველი, 2 მეორე, 2 მესამე ადგილი დაისაკუთრეს. გუნდური მეორე ადგილი წილად ხვდა საგარეჯოელთა კოლექტივს, მესამე — თელავის ნაკრებს. პირად ასპარეზობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: პაატა ნანუაშვილმა (22 კგ, საგარეჯო), რაჟი ხუბეჯაშვილმა (32, ახმეტა), ილია მაისურაძემ (35, თელავი), ამირან აბრამიშვილმა (38), კახა ჯაბიშვილმა (41), ბულეჯან ღუბიანურმა (45, სამივე ახმეტიდან), შალვა ყორღანიშვილმა (49, საგარეჯო), არჩილ ხარებაშვილმა (53, ყვარელი), დიმიტრი ქინქლაძემ (57, ახმეტა), ვანო გიუნაშვილმა (მძიმე წონა, საგარეჯო). პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები და პირად პირველობაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ „ნორჩი ლენინელის" პრიზის გათამაშების ფინალში.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ მთავარ მსაჯს, ჭიდაობის სკოლის დირექტორს გუგული აბრამიშვილს. აი, რა გვითხრა მან: „ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან, რა დამსახურება მიუძღვით ქართული სპორტის წინაშე ახმეტელ მოჭიდავეებს. ჰაერივით გვჭირდებოდა ასეთი სკოლა. ჩვენთან ჭიდაობის შესწავლის მსურველი იმდენია, მესამედსაც ძლივს ვაკმაყოფილებთ. დღემდე ახმეტაში 20 ჯგუფი იყო — 3 ქართული ჭიდაობის, 7 სამბოსი, 10 ძიუდოსი. უმრავლესობა ახმეტის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დარბაზში (12X24 მეტრი) მეცადინეობდა. რამდენიმე ჯგუფი ზემო ხოდაშენსა და მატანშიც შეიქმნა. ჩვენს ჯგუფებში ძირითადად ქ. ახმეტის მკვიდრნი არიან. არადა, რამდენი ნიჭიერი, შესანიშნავი სპორტული მონაცემების მქონე მოზარდია სოფელში. რაკი სპეციალიზებულ სკოლაში 28 ჯგუფი ივარჯიშებს (სულ 400-მდე ბავშვი) საშუალება გვექნება რაიონული ცენტრის გარდა, მოშორებით მდებარე სოფლებსაც მივაქციოთ ყურადღება, ჯგუფებს შევქმნით ქვემო ალვანში, სოფელ დუისში (პანკისის გაერთიანებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ უკვე აშენდა საჭიდაო დარბაზი, მაგრამ სამუშაო უხარისხოდაა შესრულებული და სპორტული ბაზის ექსპლოატაციაში გაშვება დროებით შეჩერებულია. სოფლმშენის № 60 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსი შენგელ ოჩიაშვილი შეგვპირდა, რომ წუნს უმოკლეს დროში გამოასწორებენ), გაიზრდება ჯგუფების რაოდენობა ზემო ხოდაშენსა და მატანში. აქამდე ჩვენს რაიონში არ იყო კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის სექციები, ახლა ეს ხარვეზიც შეივსება. როგორც მოგახსენეთ, დღემდე ახმეტაში ჭიდაობის სულ 20 ჯგუფი მეცადინეობდა. ჩვენს ძირითად მეტოქეებს საგარეჯოს და თელავის რაიონებს კი ორ-სამჯერ მეტი ჯგუფი ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ბიჭები სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ტოლს არ უდებენ მეტოქეებს და ხშირად იმარჯვებენ როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში. მომავალში მეტი წარმატებების იმედი გვაქვს.

იმედი გამართლებოდეთ.

**ალექსი პაპოშვილი,**
**ჩვენი საკ. კორ.**

ახმეტა.

# სმისლოვი ლიდერთა შორის

**ნიუ-იორკის** საერთაშორისო ტურნირმა ძლიერ მოჭადრაკეებს მოუყარა თავი. ესენი არიან მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი, საერთაშორისო დიდოსტატები: ანდრაშ ადორიანი, დიულა საქსი, ლაიოშ პორტიში (ყველა — უნგრეთი), იასერ სეირავანი (აშშ) და სხვები. ტურნირში, რომელშიც 22 ქვეყნის 90 ვაჟი მოჭადრაკე მონაწილეობს, შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ტარდება. 7 ტურის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონს 5 ქულა აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვა კიდევ ექვსმა მონაწილემ. მათ სეირავანი 0,5 ქულით უსწრებს.

# ნორჩების ფინალური...

**თბილისის** სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტულ სკოლაში დამთავრდა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ფინალური საქალაქო შეჯიბრება, რომელსაც უნდა დაესახელებინა საქართველოს პირველობის ნახევარფინალის მონაწილენი და თბილისის ჩემპიონი.

ჭაბუკებში I ადგილი დაიკავა 23-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ მიხეილ კეკელიძემ (მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე), რომელმაც 17 შესაძლებლიდან 15 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ბექა კვარაცხელია (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი) — 13,5 ქულა. 13 ქულით მესამე იყო კობა ჩაჩანაშვილი (მწვრთნელი გიორგი ხომერიკი).

გოგონებში თბილისის ჩემპიონის სახელი მოიპოვა 132-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლემ ნინო ხურციძემ (მწვრთნელი გიორგი გრძელიშვილი), რომელმაც 14 შესაძლებლიდან 13 ქულა მოაგროვა. მეორე იყო თამარ ფაჩულია (მწვრთნელი გიორგი გრძელიშვილი) — 12,5 ქულა. 12 ქულით III ადგილზე გავიდა მაია გრიგალაშვილი (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი).

## მოკლედ

### რაიონული გაზეთის პრიზზე

**ორჯონიკიძე.** თვეზე მეტ ხანს გასტანა შრაიონო შეჯიბრებამ მინიფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ ლაშის კოლმეურნეობისა (თავმჯდომარე ვ. მანჯავიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი გ. ცისკაძე) და მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის (დირექტორი თ. გორშკოვი, მეთოდისტი შ. მაღრაძე) გუნდები.

ანგარიშით 7:5 გაიმარჯვეს მარელისელმა მეავეჯეებმა და სარაიონო გაზეთის „ლენინის დროშით" გარდამავალი თასი მოიპოვეს.

**გოჩა ხარატიშვილი.**

## ფეხბურთი

### I ლიგა

14 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-3 ტურის შეხვედრები.

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა. ქუთაისის ტორპედოელებმა კუიბიშევში ფრედ ითამაშეს „კრილია სოვეტოვთან“ — 0:0, ასეთივე შედეგით დამთავრდა ბათუმის დინამოელთა მატჩი ტიუმენის „გეოლოგთან“.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:0, „პამირი“ (დუშანბე) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0.

I ლიგის მე-4 ტურის მატჩები გაიმართება 17 აპრილს. ქუთაისის „ტორპედო“ ტიუმენში შეხვდება „გეოლოგს“, ხოლო ბათუმის დინამოელები კუიბიშევში ითამაშებენ „კრილია სოვეტოვთან“.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორეცი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| „კოლოსი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| „შინიკი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| „დაუგავა“ | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 5 |
| „მეტალურგი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 4 |
| „კუზბასი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 4 |
| „ლოკომოტივი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 4 |
| „გეოლოგი“ | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 4 |
| „ფახთაქორი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 3 |
| „პამირი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| ასკ „კარპატი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| „დინამო“ ბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 3 |
| „კოტაიკი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| „ტორპედო“ ქ. | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| „სპარტაკი“ | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| ასკ რ. | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |
| „ზარია“ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| „ფაკელი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| „როსტსელმაში“ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| „როტორი“ | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| „დინამო“ სტ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

### ვენეიბლსი ტოვებს „ბარსელონას“

ცნობილი ინგლისელი მწვრთნელი ტერი ვენეიბლსი, რომელიც წარმატებით უძღვებოდა „ბარსელონას“, აპირებს, ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დატოვოს გუნდი და სამშობლოში დაბრუნდეს. ვენეიბლსი ამბობს, რომ კლუბის დირექტორატი ერევა მის ფუნქციებში და ხელს უშლის მუშაობაში.

ვენეიბლსის შემცვლელად ასახელებენ მეორე ცნობილ ინგლისელ სპეციალისტს ჰოვარდ კენდელს, რომელიც უკვე სამი სეზონია ჩინებულად უძღვება „ევერტონს“.

### ბრეიდი ინგლისში ბრუნდება

ირლანდიის ნაკრების კაპიტანი ლიამ ბრეიდი წლების განმავლობაში იტალიაში თამაშობდა (გამოდიოდა ტურინის „იუვენტუსში“, გენუის „სამპდორიაში“, მილანის „ინტერსა“ და „ასკოლიში“), ახლა კი ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ წევრი გახდა.

---

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

**I ზონა**

**„კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: აბდულაევი („კახეთი“), კიკნაძე-2 („მეტალურგი“).

**„სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი შ. თომაშვილი (თბილისი).**

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ფეხბურთელი ა. ჯიქია, ხოლო დროის განზრახ გაყვანისთვის — მისი თანაკლუბელი რ. გელენავა. ურთიერთ უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დინამოელი ვ. თუთბერიძე და ვანელი გ. არველაძე.

ზუგდიდელმა ბ. ხვიტიამ და ვანელმა დ. ორმოცაძემ ერთმანეთთან ჩხუბი ატეხეს, რის გამოც ორივენი მინდვრიდან გააძევეს.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლი: ბაქრაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სქური“ (წალენჯიხა) 0:3. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: აფხაზავა, კვირტია-2 („სქური“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი დ. ჩალიგავა და ოჩამჩირელი რ. გუჩუა.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: გოგუა, ქავთარაძე („სამეგრელო“).

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: გეგუჩაძე, მოსიაშვილი, ნანობაშვილი (ახ. საფ. სკ.), არაბიძე („იმერეთი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: ჩინჩალაძე, ფანჩულიძე („საპოვნელა“).

**„დინამო“ (გაგრა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).**

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: ბალუაშვილი, ჩიქობავა („ეგრისი“).

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:2. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).**

**„არმაზი“ (მცხეთა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).** გოლები: ქობელაშვილი („არმაზი“), დანელია („სალხინო“).

## საქართველოს პირველობა

**II ზონა**

**I ქვეზონა**

„თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 2:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი) 1:0, „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (რუსთავი) 1:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მიონი“-35 (თბილისი) 3:0, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) 1:0, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 1:4, „მშენებელი“ (რუსთავი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 4:0.

**II ქვეზონა**

„თრიალეთი“ (წალკა) — „განთიადი“ (დმანისი) 1:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 3:0, „განთიადი“ (კასპი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:0, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „თორი“ (ბორჯომი) 2:3, „არაგვი“ (დუშეთი) — „ავტომობილისტი“ (გორი) 5:2, „ბაგიათი“ (ჯავა) — „მევენჯე“ (ახალდაბა) 1:0.

**III ქვეზონა**

„მამისონი“ (ონი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:0, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „ზანა“ (აბაშა) 2:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — ხდკ (სამტრედია) 1:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „იბერია“ (ქარელი) 1:0, „ორპირი“ (ტყიბული) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 0:1, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 4:2, „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:1.

**IV ქვეზონა**

„ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 2:1, „მზიური“ (გალი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 3:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „განთიადი“ (გაგრა) 1:1, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 2:3, „დინამო“-2 (ბათუმი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 0:1, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ნარინჯი“ (გონიო) 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

**I ზონა**

**მდგომარეობა 16 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 11 |
| „სქური“ | 7 | 4 | 3 | 0 | 16-4 | 11 |
| „შადრევანი“ | 7 | 5 | 0 | 2 | 13-8 | 10 |
| „კოლხეთი“ | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 10 |
| „მერცხალი“ | 7 | 3 | 4 | 0 | 10-2 | 10 |
| „საპოვნელა“ | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 9 |
| „დინამო“ გ. | 7 | 3 | 3 | 1 | 9-4 | 9 |
| „სალხინო“ | 7 | 2 | 5 | 0 | 8-6 | 9 |
| „ეგრისი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 8 |
| ფიზკ. ინსტ. | 7 | 2 | 4 | 1 | 7-7 | 8 |
| „მეტალურგი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 12-10 | 7 |
| „ამირანი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 5-9 | 7 |
| „იმ“.-„დინ.“-2 | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 7 |
| „ქართლი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 7 |
| „კახეთი“ | 7 | 2 | 2 | 3 | 12-14 | 6 |
| „დინამო“ ზ. | 7 | 1 | 4 | 2 | 9-8 | 6 |
| „სულორი“ | 7 | 1 | 4 | 2 | 5-8 | 6 |
| „სპარტაკი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 5 |
| ახ. საფ. სკოლა | 7 | 2 | 0 | 5 | 8-19 | 4 |
| „მადნეული“ | 7 | 1 | 2 | 4 | 6-10 | 4 |
| „დურუჯი“ | 7 | 1 | 2 | 4 | 4-10 | 4 |
| „არმაზი“ | 7 | 1 | 2 | 4 | 6-15 | 4 |
| „იმერეთი“ | 7 | 0 | 3 | 4 | 6-13 | 3 |
| „ივერია“ | 7 | 0 | 1 | 6 | 5-12 | 1 |

## SOS

**რესპუბლიკის** საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის მატჩებში კვლავ მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი ხასიათის, სერიოზული დარღვევები. ლაპარაკია არა ისეთ „უწყინარ ამბებზე“, როგორიცაა მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდება, კამათი, კინკლაობა, არამედ ზოგიერთი ფეხბურთელისა და მაყურებელთა ერთი ჯგუფის აშკარა ხულიგნობასა და თავაშვებულობაზე.

ჩემპიონატის VII ტურში თელავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კახეთი“ და ზესტაფონის „მეტალურგი“. მატჩს, როგორც ეს წესი და რიგია, ესწრებოდა ინსპექტორი გ. ცინცაძე, აგრეთვე, რესპუბლიკის სპორტსახკომის თანამშრომელი ს. რამინიშვილი.

განვიხილოთ ყველაფერი ოფიციალური დოკუმენტაციის საფუძველზე. მატჩის არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი **თ. ლაცაბიძე** თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავს: „პირველ ტაიმში ყველაფერი რიგზე იყო, თამაში ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ საქმარისი გახდა სტუმრები ანგარიშში დაწინაურებულიყვნენ, რომ ტრიბუნებიდან მოისმა უტიფარი ლანძღვა-გინება და სტვენა. მაყურებელთა ერთი ჯგუფი აშკარად, დემონსტრაციულად ხელს უშლიდა თამაშის ნორმალურ მსვლელობას.

მატჩის დამთავრების შემდეგ კი მე გარს შემომეხვივნენ „კახეთის“ ფეხბურთელები, ისინი მიმტკიცებდნენ, თითქოს, მე თამაში ერთი წუთით ადრე დავამთავრე. გუნდის კაპიტანს ვაჩვენე წამმზომი, სადაც ყველაფერი ნორმალურად და ნათლად იყო ფიქსირებული, მაგრამ მაყურებლები და ფეხბურთელები თავისას არ იშლიდნენ. შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა არაფერი გააკეთეს ჩვენს დასაცავად, ხულიგან მაყურებელთა ჯგუფი განაგრძობდა შემოტევას, რის ვაივაგლახით დავაღწიეთ თავი სიფათს“.

მატჩის ოფიციალური ინსპექტორი **გ. ცინცაძე** აღნიშნავს, რომ თელავში თვალსაჩინო ადგილებზე იყო გამოკრული აფიშები, თამაშის თაობაზე განცხადება გაზეთ „ალაზნის განთიადშიც“ გამოქვეყნდა, მსაჯთა ბრიგადამ (თ. ლაცაბიძე, უ. ფურცელაძე, ბ. თოფურია) კარგად ჩაატარა მატჩი, მაგრამ უსიამოვნო ინციდენტი მაინც მოხდა. ზოგიერთი მაყურებელი თავიდანვე ცდილობდა ადგილი მაინცდამაინც საფეხბურთო კარს უკან დაეკავებინა, მერე კი, როცა ზესტაფონის გუნდი დაწინაურდა, ბევრი მათგანი უშვერად იგინებოდა. მატჩის დამთავრების შემდეგ თელაველი ფეხბურთელები გარს შემოერტყნენ მსაჯს და ყოვლად დაუშვებელი ფორმით დავობდნენ იმ ერთ წუთზე, რომელიც მან თითქოს დააკლო მატჩს. ფეხბურთელთა ასეთი საქციელი, ცხადია, სიგნალად იქცა მაყურებელთათვის, ისინი გადმოცვივდნენ მინდორზე, ილანძღებოდნენ, ემუქრებოდნენ მსაჯს, შემდეგ გასახდელშიც უპირებდნენ მას ანგარიშის გასწორებას. ბოლოს, როგორც იქნა, სტადიონის დირექტორმა გვიხსნა.

მილიციის თანამშრომლები სტადიონზე იმყოფებოდნენ, მაგრამ თითი თითზე არ დაუკარებიათ წესრიგის დასამყარებლად, შემდეგ კი მშვიდად და აუღელვებლად გაემართნენ მეზობლად, სადაც კალათბურთელთა თამაში მიმდინარეობდა.

კიდევ ერთი ოფიციალური მოწმე, სპორტსახკომის თანამშრომელი **ს. რამინიშვილი**, რომელიც მივლინებით იმყოფებოდა თელავში: „ყველაფერი წესრიგში იყო, სანამ ზესტაფონელი ფეხბურთელები დაწინაურდებოდნენ. ამის მერე „კახეთის“ მოთამაშეებს ნერვებმა უღალატა, ისინი გაუთავებლად დავობდნენ არბიტრის ყოველ გადაწყვეტილებაზე, მოითხოვდნენ 11-მეტრიანს, პროტესტს გამოთქვამდნენ თამაშგარე მდგომარეობათა თაობაზე. თამაშის მერე თელაველი ფეხბურთელები თავხედურად მიეჭრნენ მსაჯს და წამმზომს მოითხოვდნენ. თ. ლაცაბიძემ წამმზომი აჩვენა გუნდის კაპიტანს, მაგრამ ფეხბურთელები ამან არ დააშოშმინა, მათ შეუერთდნენ მაყურებლებიც, იყო საშინელი გინება, მუქარა, აურზაური, მილიციის თანამშრომლებს ამ დროს არაფერი გაუკეთებიათ წესრიგის დასამყარებლად. მსაჯთა ბრიგადის შესახებ კი იმას ვიტყვი, რომ მან კარგად გაართვა თავი ამ კალენდარულ შეხვედრას“.

აი, ასეთი უმსგავსოება მოხდა თელავის სტადიონზე 11 აპრილს. რა თქმა უნდა, შესაბამისი ინსტანციები საფუძვლიანად იმსჯელებენ ამ მატჩში მომხდარი უწესრიგობის შესახებ, მაგრამ გაკვირვებას იწვევს იმ ფეხბურთელთა და მაყურებელთა აღვირახსნილი საქციელი, რომელთა გამოისობითაც შეიძლება სტადიონის დისკვალიფიკაციის საკითხი დადგეს.

რაც შეეხება მილიციელთა პასიურობას იმ დროს, როცა უწესრიგობა ხდებოდა, ეს უკვე გასაოცარი ამბავია: ვინ-ვინ და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახალხო რაზმელები ვალდებულნი არიან პირველნი ჩაერიონ საქმეში, როცა მათ თვალწინ ამგვარი უმსგავსოებანი ხდება.

იმედს გამოვთქვამთ, თელავის შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები ყურადღების გარეშე არ დატოვებენ მათ სტადიონზე მომხდარ ამბავს და სათანადო ზომებსაც დროზე მიმართავენ.

არც ვანში გამართული მატჩი უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. ფეხბურთელთა თავნებობა, უხეშობა, მაყურებელთა მიმართ უპატივცემლობა, რითაც გამოირჩეოდნენ ვანის „სულორისა“ და ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელები, მკაცრი განკიცხვის საგნად უნდა იქცეს.

---

**რეცენზიის მაგიერ**

**რეგბი**

# რატომ აგებს „შევარდენი“?

ალბათ ბევრს ეხსომება რა გამოხმაურება მოჰყვა „შევარდენის“ შარშანდელ წარმატებას. ახალგაზრდულმა გუნდმა მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ ღირსეულად მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური და ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობაც მისგან ახალ წარმატებებს ელოდა.

მაგრამ დაიწყო წლევანდელი ჩემპიონატი და „შევარდენი“, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩებში თავდადებით იბრძოდა, უკვე მეექვსედ დამარცხდა შინ, ამჯერად ლენინგრადის „პრიმორეცთან“ — 6:12. გუნდის სატურნირო მდგომარეობა დღესდღეობით მართლაც საგანგაშოა. ამიტომ მოდით, ვილაპარაკოთ იმაზე, რატომ უჭირს გუნდს თამაში.

ჩვენი აზრით, წარუმატებლობის მიზეზი პირველ ყოვლისა, უმაღლესი ლიგის გუნდისათვის სრულიად შეუფერებელი სავარჯიშო, საყოფაცხოვრებო და საასპარეზო პირობებია. ვთქვით, „შევარდენი“ საკუთარ მოედანზე მარცხდებაო. მაგრამ განა შეიძლება საკუთარი ეწოდოს მოედანს, რომელზეც იშვიათად გათამაშებენ? არადა, რეგბის მოედანზე, სადაც გუნდი წინათ ვარჯიშობდა და თამაშობდა, ამ საპასუხისმგებლო ჩემპიონატის წინ ბალახი დაითესა. 2000-ადგილიანი ტრიბუნების აშენებასაც აღარ დაადგა საშველი. უტრიბუნო მოედანზე კი გუნდს თამაშის უფლება არა აქვს. ახლა ის ვიკითხოთ, რა პირობებში, სად ვარჯიშობენ რეგბისტები. სად და სადაც მოახელთებენ, მეტწილად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოასფალტებულ სპორტულ მოედნებზე. დიახ, უმაღლესი ლიგის გუნდი მოასფალტებულ მოედანზე ვარჯიშობს. ასეთ მოედანზე სრულყოფილი წვრთნის ჩატარება, ცხადია, შეუძლებელია, რადგან რეგბისტებს დაშავების ეშინიათ. ასე რომ, ტაქტიკისა თუ ტექნიკის სრულყოფაზე ლაპარაკი ზედმეტია. „შევარდენს“ არც დასვენების, კვებისა და ინვენტარით მომარაგების საკითხები აქვს მოგვარებული.

ახლა „შევარდენის“ სათამაშო ხელწერის შესახებ. რაგინდ სამწუხარო უნდა იყოს ამის საჯაროდ განცხადება, გუნდის თამაშში სწორედ ხელწერა არ არის გამოკვეთილი. იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ „შევარდენი“ მეტოქეებს ვერც ერთ კომპონენტში ვერ ჯობნის? გუნდის მოთამაშეთა ოსტატობა, რაც საკმარისი იყო პირველ ლიგაში თამაშისას, აშკარად არ კმარა უმაღლესი ლიგის კლუბების დასამარცხებლად. მით უფრო, რომ შევარდენელთა ოსტატობა შარშანს მერე არათუ დაიხვეწა, არამედ არანორმალური საწვრთნელი პირობების გამო შესამჩნევად გაუარესდა. ასე და ამგვარად, ისევ სავარჯიშო პირობებს მივუბრუნდით.

ეს მოსაზრება ყურით მოყვანილ განცხადებად რომ არ ჩაგვითვალონ, დამაჯერებელ საბუთს მოვიტანთ. კარში დამრტყმელების ბალანსს გადავხედოთ. განვლილ მატჩებში საცერაძემ, გარუჩავამ და კურატიშვილმა იმდენი საჯარიმო გააფუჭეს, ექვსივე მატჩის მოსაგებად რომ იკმარებდა. ანდა ნახევარმცველების, სამმეოთხედელებისა და მცველის ყოვლად გაუმართლებელი შეცდომები გავიხსენოთ (განსაკუთრებით დაცვაში თამაშის დროს). სწორედ უკანა ხაზის სისუსტე იქცა გუნდის „აქილევსის ქუსლად“.

მაგრამ „შევარდენს“ ჯერ ყველაფერი არ დაუკარგავს. ჩემპიონატის ბოლომდე კიდევ 26 მატჩია და თუ გუნდი თავდადებით ივარჯიშებს და ითამაშებს, რეზერვს სრულად გამოიყენებს, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. მთავარია, დროულად გაისარჯონ და

ის. მე-4 გვ.

# სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ერევნის „არარატის" ხელმძღვანელობის პროტესტი იმის თაობაზე, რომ „არარატის" 3 აპრილის მატჩში ვილნიუსის „ჟალგირისთან" არაობიექტურად იმსაჯა არბიტრმა პ. კობიჩიკმა (ჩერნოვცი). მატჩის ვიდეოჩანაწერით დადგინდა, რომ პ. კობიჩიკმა ორი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა, რომლებსაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია მატჩის შედეგზე. სპორტტექნიკურმა კომისიამ უარყო „არარატის" პროტესტი, მაგრამ პ. კობიჩიკს მსაჯობის შეფასება 4 ბალამდე დაუქვეითა.

ამავე დროს, სპორტტექნიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ მაყურებელთა საქციელი „რაზდანის" სტადიონზე ხელს არ უწყობს საკავშირო ჩემპიონატის მატჩების ნორმალურად ჩატარებას, „რაზდანის" დირექცია გააფრთხილა, რომ თუ საჭირო ზომებს არ მიმართავენ ტრიბუნებზე წესრიგის დასამყარებლად, სტადიონს დისკვალიფიკაცია მიეცემა.

ლანჩხუთის „გურიისა" და ალმაათის „ქაირათის" მატჩში მინდვრიდან გააძევეს ალმაათელი ფეხბურთელი ი. გრიჯანი. „ქაირათის" ფეხბურთელთა საერთო კრებამ ი. გრიჯანს ორი მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა. სპორტტექნიკური კომისია დაეთანხმა კოლექტივის ამ გადაწყვეტილებას.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### ესპანეთი

მეორე ეტაპის პირველივე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა". თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ფრედ (0:0) დამთავრდა. ბარსელონის „ესპანიოლმა" დაამარცხა ხიხონის „სპორტინგი" (2:1), ხოლო მალიორკისა და სარაგოსის „რეალის" შეხვედრა ფრედ დასრულდა — 2:2.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 35 | 61-29 | 51 |
| „ბარსელონა" | 35 | 51-22 | 50 |
| „ესპანიოლი" | 35 | 54-31 | 45 |

### ინგლისი

გაიმართა ინგლისის თასის ნახევარფინალური შეხვედრები. „ტოტენჰემთან" თამაშის წინ „უოტფორდის" ორივე მეკარე დაშავდა და კლუბის მწვრთნელი იძულებული იყო ახალგაზრდა მეკარე გამოეყვანა, რომელიც პირველ შეხვედრას ატარებდა კლუბის ძირითად შემადგენლობაში. „ტოტენჰემმა" გაიმარჯვა ანგარიშით 4:1. 16 მაისს „ტოტენჰემი" ფინალში „კოვენტრი სიტის" შეხვდება, რომელმაც მეორე დივიზიონის „ლიდს იუნაიტედი" დაამარცხა (3:2).

ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ დამარცხდა „ლივერპული", ამჯერად სტუმრად, „ნორვიჩ სიტისთან" (1:2). „ევერტონმა" დიდი ანგარიშით სძლია „ვესტ ჰემ იუნაიტედს" — 4:0.

სხვა შეხვედრები: „არსენალი" — „ჩარლტონ ათლეტიკი" — 2:1, „ლესტერ სიტი" — „ასტონ ვილა" — 1:1, „მანჩესტერ სიტი" — „საუთჰემპტონი" 2:4, „ოქსფორდ იუნაიტედი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" — 1:1, „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „ლუტონ თაუნი" — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ევერტონი" | 35 | 66-27 | 70 |
| „ლივერპული" | 36 | 62-36 | 67 |
| „ტოტენჰემი" | 33 | 56-33 | 60 |

### გფრ

მიუნხენის „ბაიერნმა" მიონხენგლადბახში ადგილობრივი „ბორუსია" დაამარცხა — 1:0, ბურთი ჰიონესმა გაიტანა, ხოლო მიონხენგლადბახელმა ფონციკმა 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. დიტმარის გოლმა „ჰამბურგს" გამარჯვება მოუტანა მანჰაიმის „ვალდჰოფთან" — 1:0.

სხვა შედეგები: „ბორუსია" (დორტმუნდი) — „შალკე 04" 1:0, „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „შტუტგარტი" 1:0, „კიოლნი" — „ბაიერი" (იურდინგენი) 1:2, „ნიურნბერგი" — „ჰამბურგი" 2:2, „კაიზერსლაუტერნი" — „ბაიერი" (ლევერკუზენი) 1:1, „ვერდერი" (ბრემენი) — „აინტრაჰტი" (ფრანკფურტი) 4:1, „ბოხუმი" — „ბლაუ ვაისი" (ბერლინი) 5:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 24 | 47-22 | 36 |
| „ჰამბურგი" | 24 | 44-24 | 33 |

### ბელგია

27-ე ტურის შედეგები: „ვარეგემი" — „ანდერლეჰტი" 1:2, „მეხელენი" — „ბევერენი" 0:0. „ლოკერენი" — „ბერჰემი" 4:1, „ბეერსჰოტი" — „სერენგი" 3:0, „ბრიუგე" — „კორტრიიკი" 1:1, „შარლერუა" — „მოლენბეეკი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეჰტი" | 27 | 66-23 | 44 |
| „მეხელენი" | 27 | 42-11 | 43 |

### ჰოლანდია

„ფეიენოორდისა" და „ეინდჰოვენის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1, „აიაქსმა" სძლია „ვეენდამს" — 4:0.

სხვა შეხვედრები: „ვენლო" — „ფორტუნა" (სიტარდი) 1:1, აზ-67 — „გოუ ეჰედ იგლზი" 1:0, „უტრეხტი" — „სპარტა" 3:0, „დენ ბოსხი" — „ექსელსიორი" 1:1, „ზვოლე" — „დენ ჰააგი" 1:1, „ტვენტე" — „ჰაარლემი" 2:3, „გრონინგენი" — „როდა" 1:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 27 | 75-19 | 45 |
| „ეინდჰოვენი" | 25 | 71-13 | 44 |

### პორტუგალია

25-ე ტურის შედეგები: „ბენფიკა" — „სალგეიროში" 1:0, „პორტო" — „სპორტინგი" (ბრაგა) 3:1, „ვიტორია" (გიმარაეში) — „რიუ ავე" 1:0, „ვარზიმი" — „სპორტინგი" (ლისაბონი) 1:1, „ბოავიშტა" — „შავეში" 1:3, „ელვაში" — „აკადემიკა" 1:1, „ფარენსე" — „პორტიმონენსე" 4:1, „მარტიმე" — „ბელენენსეში" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 25 | 46-19 | 43 |
| „პორტო" | 25 | 58-20 | 38 |
| „ვიტორია" | 25 | 39-17 | 36 |

### საფრანგეთი

31-ე ტურში ერთმანეთს ლიდერები „ბორდო" და „ოლიმპიკი" შეხვდნენ. ბორდოელმა ფეხბურთელებმა ადვილად გაიმარჯვეს — 3:0. მათ თამაშის დასაწყისშივე გაიტანეს ორი გოლი (ფარჟონი და ჟირარი), მეორე ტაიმში კი მესამეც მიუმატეს (ტური), მსაჯმა ორივე კლუბიდან თითო ფეხბურთელი გააძევა მინდვრიდან.

პარიზის „რესინგისა" და „სენტ ეტიენის" მატჩი მოიგო „სენტ ეტიენმა" — 2:1. გარანდის გოლმა „ნანტს" გამარჯვება მოუტანა „ლანთან" შეხვედრაში (1:0), „ბრესტმა" სტუმრად დაამარცხა „ნიცა" (4:0).

სხვა შეხვედრები: „რენი" — „მონაკო" 0:1, „მეცი" — „ტულუზა" 2:0, „ლილი" — „ლავალი" 2:1, „ტულონი" — „ოსერი" 1:1, „სოშო" — „ნანსი" 0:1, „ლეავრი" — „პარი სენ ჟერმენი" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 31 | 46-18 | 45 |
| „ოლიმპიკი" (მარ.) | 31 | 44-21 | 44 |

### გდრ

მე-20 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ლაიფციგის „ლოკომოტივი" საკუთარ მინდორზე დამარცხდა ბერლინის „დინამოსთან" (1:3). ამ გამარჯვების შემდეგ ბერლინის „დინამო" 32 ქულით პირველ ადგილზეა.



## რატომ აგებს „შევარდენი"?

დასასრული

გუნდს მხარში ამოუდგნენ ისინი, ვისაც „შევარდენზე" ზრუნვა ევალება.

● ● ●

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (ალმა-ათა) — ეტს (კრასნოიარსკი) 15:15, „ავიატორი" (კიევი) — სსა (მონინო) 6:6, „ელექტრომაში" (ტირასპოლი) — „ფილი" (მოსკოვი) 6:8.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ავიატორი" (კ.) | 6 | 5 | 1 | 0 | 17 |
| „მშენებელი" (ქ.) | 6 | 5 | 0 | 1 | 16 |
| ასკ (ა.-ა.) | 6 | 3 | 2 | 1 | 14 |
| სსა (მონინო) | 6 | 3 | 2 | 1 | 14 |
| „ლოკომოტივი" (თბ.) | 6 | 4 | 0 | 2 | 14 |
| „ელექტრომაში" (ტ.) | 6 | 3 | 1 | 2 | 13 |
| „სლავა" (მ.) | 6 | 3 | 0 | 3 | 12 |
| „ფილი" (მ.) | 6 | 2 | 1 | 3 | 11 |
| ეტს (კრ.) | 6 | 2 | 1 | 3 | 11 |
| „ლოკომოტივი" (მ.) | 6 | 1 | 0 | 5 | 8 |
| „პრიმორიეცი" (ლ.) | 6 | 1 | 0 | 5 | 8 |
| „შევარდენი" (თბ.) | 6 | 0 | 0 | 6 | 6 |

**შენიშვნა:** „ავიატორმა", „მშენებელმა", ასკ-მა, თბილისის „ლოკომოტივმა", „ელექტრომაშმა" და „შევარდენმა" ექვსივე მატჩი შინ გამართეს, დანარჩენმა გუნდებმა კი — სტუმრად.

ახლა ჩემპიონატში 12 მაისამდე შესვენება ცხადდება. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრები ფირა-ს ჩემპიონატის სამ დასკვნით შეხვედრას გამართავს რუმინეთის (თბილისში), ტუნისის (ქუთაისში) და პორტუგალიის (ხარკოვში) გუნდებთან, კლუბები კი ქვეყნის თასის მერვედ და მეოთხედფინალურ შეხვედრებში იასპარეზებენ.

### „სპორტპროგნოზი":

მე-15 ტირაჟის შედეგები
(12-14 აპრილი)

1-1, 2-2, 3-X, 4-1, 5-1, 6-1, 7-1, 8-1, 9-1, 10-X, 11-1, 12-1, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილთა რიგით ნომერს აღნიშნავს, მეორე — შეხვედრის შედეგს.



## 204-დღიანი მარათონი

### „მაკლარენი"

„მარლბორო მაკლარენ „ტაგ" პორშე" — ასე ჰქვია ამ ფირმის ავტომობილს. გუნდს აფინანსებენ სიგარეტების ცნობილი ამერიკული ფირმა „მარლბორო" და ინგლისური საავტომობილო ფირმა „მაკლარენი". ავტომობილისთვის ძრავას ამზადებს გერმანული „პორშე" „ტექნიკ დ' ავანგარდთან" ერთად. მანქანის კორპუსი პლასტმასისაა, რაც მეტალზე უფრო მჩატე და გამძლეა.

„მაკლარენი" ერთ-ერთი საუკეთესო ავტომობილია „ფორმულა-1"-ის ისტორიაში.

სახელგანთქმული ავსტრიელი მრბოლის, ნიკი ლაუდას დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ „მაკლარენში" ალენ პროსტის თანაგუნდელი გახდა ფინელი კეიო (კეკე) როსბერგი.

როსბერგი „ფორმულა-1"-ის რბოლაში 1978 წლიდან მონაწილეობს. 1982 წელს მან მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა „უილიამს ჰონდას" ფირმის ავტომობილით, 1985 წელს კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მონაწილეობა მიღებული აქვს 108 ეტაპზე. შარშანდელ ჩემპიონატში როსბერგი 22 ქულით VI ადგილზე იყო. „დიდი პრიზი" მან ვერც ერთ ეტაპზე ვერ მოიგო. როსბერგის საუკეთესო შედეგი იყო მონაკოს ტრასაზე მოპოვებული II ადგილი. შარშან როსბერგმა გადაწყვიტა თავი დაანებოს ავტოსპორტს.

ალენ პროსტი „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატებში 1980 წლიდან გამოდის.

შარშან ალენ პროსტმაც და კეკე როსბერგმაც მონაკოს ტრასაზე გუნდს ყველაზე მეტი, 15 ქულა მოუტანეს. პროსტმა „დიდი პრიზი" მოიპოვა, ხოლო როსბერგმა II ადგილი დაიკავა.

წლევანდელ ჩემპიონატში „მაკლარენის" შეფებს დაგეგმილი აქვთ როსბერგის შეცვლა ახალგაზრდა შვედი ავტომრბოლ სტეფან იოჰანსონით. „ფერარის" დირექციამ იგი არასაიმედოდ მიიჩნია და გუნდიდან დაითხოვა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალენ პროსტი თავისი შეფის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ყოველნაირად ეცდება თავის გუნდში გადმობიროს „ლოტუსის" ავტომრბოლი, ბრაზილიელი აირტონ სენა.

### „უილიამს ჰონდა"

გუნდის მენეჯერია ფრენკ უილიამსი, დამფინანსებელი — ცნობილი იაპონური ფირმა „კენონი".

დღეისათვის „ჰონდას" ჰყავს ორი უძლიერესი სპორტსმენი: ინგლისელი ნაიჯელ მენსელი და ბრაზილიელი ნელსონ პიკე.

ნაიჯელ მენსელი 31 წლისაა. იგი 1977 წლიდან გამოდის „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატებში. 1980 წელს „ლოტუსის" გუნდშია, ხოლო 1984 წლიდან „უილიამს ჰონდას" ფირმის ავტომობილით ასპარეზობს. დღემდე მონაწილეობა მიიღო 100 ეტაპზე გამართულ შეჯიბრებებში და 190 ქულა დააგროვა. 1985 წლის ჩემპიონატში დაიკავა VI ადგილი, შარშან კი II იყო.

ნელსონ პიკე 33 წლისაა.1978 წლიდან მონაწილეობს „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატებში. თავიდან ფირმა „ინზაინის" ღირსებას იცავდა, შემდეგ „ბრებემისას". სწორედ ამ ფირმის ავტომობილით გახდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1981-83 წწ.). სულ იასპარეზა 136 ეტაპზე და 343 ქულა დააგროვა.

### „ტაირელ-რენო"

1984 წლიდან გუნდის შეფმა კენ ტაირელმა მიიწვია ორი ახალგაზრდა. 26 წლის ინგლისელი მარტინ ბრანდლი და 30 წლის ფრანგი ფილიპ სტრაიფი. პირველს მონაწილეობა აქვს მიღებული 48, ხოლო მეორეს — 32 ეტაპზე გამართულ შეჯიბრებებში.

შარშანდელ ჩემპიონატში ბრანდლმა 8 ქულით XI ადგილი დაიკავა, ხოლო სტრაიფმა — 3 ქულით XIII. „ტაირელ-რენო" 11 ქულით VII ადგილზე გავიდა.

### „ბრებემ ბე-ემ-ვე"

„ბრებემის" შეფი ბერნი ეკლსტოუნი კონსტრუქტორთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტია.

შარშანდელ ჩემპიონატში ამ გუნდის ღირსებას იცავდა ორი იტალიელი ავტომრბოლი რიკარდო პატრეზე და ელიო დე ანჯელისი, რომელიც დაიღუპა საფრანგეთში „ლე კასტელეს" ტრასაზე წვრთნის დროს. მისი ადგილი დაიკავა ინგლისელმა დერეკ უორვიკმა.

რიკარდო პატრეზე 32 წლისაა. იგი 1977 წლიდან გამოდის „ფორმულა-1"-ით. დღემდე 138 ეტაპზე იასპარეზა და 75 ქულა დააგროვა. შარშან XV ადგილი დაიკავა 2 ქულით.

დერეკ უორვიკიც 32 წლისაა. „ფორმულა-1"-ით 1981 წლიდან გამოდის. 1985 წელს, როცა ფირმა „რენოს" ღირსებას იცავდა, 5 ქულით XV იყო, შარშან კი ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო. სულ 63 ეტაპზე იასპარეზა და 31 ქულა დააგროვა.

### „ლოტუს-რენო"

1963-65 წლებში „ლოტუსით" მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა ინგლისელმა ჯიმ კლარკმა, 1968 წელს პირველი იყო ინგლისელი გრემ ჰილი, 1969 წელს ინგლისელი ჯეკი სტიუარტი, 1970 წელს ავსტრიელი იოჰენ რინდტი, 1972 წელს ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი, 1978 წელს კი იტალიელი მარიო ანდრეტი.

„ლოტუს-რენოს" აფინანსებს სიგარეტების ფირმა „ჯონ ფლეიერ სფეშიალი" („ჯეი-ფი-ეს").

გუნდში ორი ახალგაზრდა ავტომრბოლია: ინგლისელი ჯონი დამფრიზი (იგი სტიუარტების სამეფო ოჯახის წარმომადგენელია და მისი ნამდვილი სახელია ჯონ ქოლომ კრიჩტინ-სტიუარტ გრაფი დამფრიზი) და ბრაზილიელი აირტონ სენა.

1985 წლიდან 28 წლის დამფრიზმა 25 ეტაპზე იასპარეზა. წლევანდელ ჩემპიონატში დამფრიზი შეიძლება „ლოტუსის" გუნდში ვერც მოხვდეს და „ეროუზ ბე-ემ-ვეს" ფირმის ავტომობილით გამოვიდეს.

აირტონ სენა 26 წლისაა. 1983 წლიდან მონაწილეობს „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატებში. „დიდი პრიზის" 56 გათამაშებაში სულ დაგროვილი აქვს 148 ქულა. ზედიზედ ორი წელია საუკეთესოთა ოთხეულშია.

შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში აირტონ სენა თითქმის ყველა ეტაპზე საუკეთესოთა ექვსეულში იყო. მოიგო ორი „დიდი პრიზიც". „ლოტუსის" შეფს პიტერ უორს იმედი აქვს, რომ სენა ახლა მაინც მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

წელს „ლოტუსის" გუნდში შედგება ყველასთვის უცნობი იაპონელი ავტომრბოლების სატორუ ნაკაჯიმას დებიუტი. ნაკაჯიმა ჯონი დამფრიზს შეცვლის.

დავით ჩუბინიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 74.

## ნავსიანი დღე

**ჟელეზნოვოდსკი** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). ალბათ გახსოვთ, 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის IV ტურში სუსტად ითამაშეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. მაშინ ვწერდით, როგორც ჩანს, დასვენებამ (წინა დღით მოჭადრაკეები ისვენებდნენ) უარყოფითად იმოქმედა ქართველ მოჭადრაკეებზეო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია. სამწუხაროდ, იგივეს გამეორება მოგვიხდება დღესაც. XI ტურში (X ტურის შემდეგაც დაისვენეს მოჭადრაკეებმა) ლაგვილავას გარდა, ყველა ჩვენი თანამემამულე დამარცხდა, მაგრამ თუ ამ მარცხმა სხვებს მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი დააკლო, ნათია ჯანჯღავას უკვე საეჭვოდ გაუხდა საქმე: იგი 1 ქულით უსწრებდა თავის ძირითად მეტოქეს ალა გალიმოვას კადეტთა შორის უძლიერესი მოჭადრაკის სახელისთვის ბრძოლაში, ახლა კი მათი შანსები გათანაბრდა: ნათიასაც და ალასაც 6,5-6,5 ქულა აქვთ და V-VI ადგილებს იყოფენ. პირველი ოთხეული ასე გამოიყურება: ელენა ზაიაცი — 9 ქულა, სვეტლანა მატვეევა — 7,5, აინურ სოფიევა და ნადეჟდა ბელაკოვსკაია — 7-7. ჰენრიეტა ლაგვილავა 5,5 ქულით VIII ადგილზეა, მას ერთი ქულით ჩამორჩება ქეთევან კახიანი.

გაგაცნობთ **XI ტურის** ტექნიკურ შედეგებს: სედინა — ჯანჯღავა — 1:0, სოფიევა — ბელაკოვსკაია — 1:0, ბოროდულინა — მატვეევა — 0:1, ელენა ზაიაცი — სოფიკო ტერელაძე — 1:0, ველიხანლი — სოფიკო ნიკოლაძე — 1:0, კახიანი — გალიმოვა 0:1, ლაგვილავა — ლაისონი — 1:0.

გიორგი მაჭარაშვილი.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 16 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00** (1); დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); საჭადრაკო სკოლა — **12.05** (2); რიტმული ტანვარჯიში — **21.15** (2).

**17 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00** (1); დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: სსრ კავშირი — შვეიცარია — **20.00** (1); ფინეთი — ჩეხოსლოვაკია და კანადა — აშშ — **22.40** (2).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06877